

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ.თბილისი

02.03.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ქვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები - საერთაშორისოს“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლიანა ზამბახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი; მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ-საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე; ნიკოლოზ ჩაჩიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის წარმომადგენლები:

შორენა ხაჭაპურიძე;

ლელა ხუფენია.

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის წარმომადგენლები:

თამარ დაუსი;

თამარ თალაკვაძე;

მარიამ ტვილდიანი;

ნანო გიორგაძე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):

ელენე გვენცაძე;
დალი კალაძე;
ლევან ღურწვაძა;
მალხაზ გვიჩია;
ეკატერინე გიგაშვილი;
თამარ რემიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:43 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
- შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტუალის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექტნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში მივლენილმა ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა შუამდგომლობა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექტნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის პირველ საკითხად განეხილათ.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას, შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სხდომის ახალი დღის წესრიგი:

- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექტნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
- შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტუალის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი შეცვლილი საჩით.



1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა. ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლებას ითხოვდა დაწესებულება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	147

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოადგენილი პროგრამა დამტკიცებული იყო დაწესებულების დირექტორის ბრძანებითა და ხელმოწერით, თუმცა დაწესებულების ზოგადი მარეგულირებელი დებულების მიხედვით კოლეჯის დირექტორის უფლება მოვალეობების ჩამონათვალში არ შედიოდა პროგრამების დამტკიცება, ამავე დებულების IV თავის 5.3.2-ის საფუძველზე სასწავლო დეპარტამენტი საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენდა კოლეჯის დირექტორს.

1.2 დაწესებულების მიერ ცნობრში წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ექსპერტების მიერ დგინდებოდა შემდეგი გარემოებები: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყო 30-40 საათი, სასწავლო გეგმა სამ სასწავლო წელზე იყო გადანაწილებული, სწავლის და ორგანიზების მართვის დებულების მიხედვით განსაზღვრული იყო სასწავლო წლის ხანგრძლივობა 4 სემესტრით და კრედიტების

მოცულობა 147 კრედიტის ოდენობით, ხოლო განსახილველად წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში სემესტრები არ იყო გამოკვეთილი. სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და იყო 147 კრედიტიანი.

1.3 სწორად იყო გათვალისწინებული მოდულის სწავლებისას მასზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო გეგმა კურაციულ სისტემას ეფუძნებოდა. გაცნობითი პრაქტიკისთვის სასწავლო გეგმაში პირველ წელს დასაწყისშივე იყო საათები დათმობილი, ხოლო პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკის განხორციელება დაგეგმილი იყო სასწავლო პროგრამის ბოლოს, ყველა ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი მოდულის დასრულების შემდეგ.

1.4 სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებდა ყოველი სემესტრის და სასწავლო პროგრამის შემდგომ დამატებით ტესტირების ჩატარებას, თუმცა ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია იქნა გადამუშავებული და შესაბამისობაში მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულების ადმინისტრაციამ გაარკვია, რომ ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა და შესატანი იყო ცვლილებები, რის შედეგადაც დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო პროგრამის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება პროგრამითა და სასწავლო გეგმის დანართებით. პროგრამის ახალ რედაქციაში სწორად იქნა შეტანილი სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, თუმცა სასწავლო გეგმის ახალი ვერსია დაწესებულებამ რადიკალურად შეცვლილი სახით წარუდგინა ექსპერტებს.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა სასწავლო გეგმის ახალ ვერსიაში სასწავლო მოდულების წინაპირობები, საათები, მოდულზე დაშვების წინაპირობები, კვირეული დატვირთვა და დადგინდა, რომ სასწავლო გეგმა დაყოფილი იყო ოთხ სემესტრად, კვირეული დატვირთვა სემესტრებში მერყეობდა 30-40 საათის ფარგლებში, გაცნობითი პრაქტიკა იწყებოდა მეთორმეტე კვირიდან, პრაქტიკული პროექტი და საწარმო პრაქტიკა იყო სასწავლო გეგმის ბოლოს, ყველა მოდულის დადასტურების შემდეგ, სასწავლო მოდულებზე დაშვების წინაპირობები დაცული იყო, თუმცა სასწავლო გეგმის სემესტრებად დაყოფის გამო, ვიზუალურად იყო რთული აღსაქმელი.

1.5 დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტების განხორცილებისათვის გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოთხ მოქმედ კლინიკასთან. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა პრაქტიკის ორი ობიექტი. კლინიკის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას მიღებულ იქნა სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი იყო დაწესებულებების მზაობა კოლეჯის სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება-სრულყოფის უზრუნველსაყოფად, რითაც გარანტირებული იქნებოდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალების ჩამოყალიბება.

მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გამოსწორებული იყო თუ არა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განახლებულ ვარიანტში ყველა ხარვეზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა, თუმცა პროგრამის ახალი ვერსიის გასაცნობად ექსპერტებს საკმარისი დრო არ

ჰერონიათ და მიიჩნევდნენ, რომ მისი სიღრმისეული განხილვა ექსპერტთა ჯგუფში ვერ მოხერხდა. ექსპერტის თქმით, განახლებული პროგრამა დაწესებულებამ მხოლოდ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ბოლო დღეს 15:30 საათზე მიაწოდა განსახილველად, ამიტომ ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ვინაიდან მოდულები ცენტრის მიერ იქნა შემუშავებული და დაწესებულებას მათში ძირეული ცვლილებების შეტანის უფლება არ ჰერონდა, განახლებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ხარვეზებიც არ უნდა ყოფილიყო. საბჭოს წევრი, მამუკა ჯანჯალია დაინტერესდა, თუკი პროგრამის ძველ ვერსიაში მოდულებთან დაკავშირებით ხარვეზები გამოიკვეთა, რატომ არ შეიძლებოდა იგივე ახალი პროგრამის შემთხვევაშიც აღმოჩენილიყო. ექსპერტმა პასუხად განმარტა, რომ პროგრამის წინა ვარიანტში პროგრამულ ნაწილში არსებითი ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრი, მამუკა ჯანჯალია, დაინტერესდა, მაშინ, როდესაც დაწესებულება ჯერ არ იყო ავტორიზებული და არც აღნიშნულ პროგრამას ახორციელებდა, მიმდინარე ეტაპზე, როგორ იზიდავდა სტუდენტებს და ავრცელებდა ინფორმაციას პროფესიულ პროგრამაზე მიღების შესახებ. პასუხად დაწესებულებამ განაცხადა, რომ შეცდომაში არავინ შეუყვანიათ და არსად აღუნიშნავთ, რომ პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში ხორციელდებოდა. მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ დაწესებულება თავის სარეკლამო რგოლში აცხადებდა, რომ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის მსურველების მიღება 15 ნოემბრამდე გრძელდებოდა, დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი კი მხოლოდ 2 მარტს განიხილებოდა. მოპასუხე მხარემ საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამით დაინტერესებული პირები სტუმრობდნენ, რომელთაც მიეწოდათ პროგრამის შესახებ ინფორმაცია, თუმცა განემარტათ, რომ იმ დროისათვის დაწესებულება ავტორიზებული არ იყო და პროგრამაზე მიღება დაიწყებოდა, როგორც კი მოიპოვებდა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს.

საბჭოს მდივანმა, ლიანა ზამბახიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა, რომ შეცდომაში შეუყვანი ინფორმაციის გავრცელება კანონით დასჯადი ქმედება იყო, რომელსაც შესაძლოა ჯარიმა ან, სტუდენტის მხრიდან საჩივრის შემთხვევაში, სხვა უარყოფითი სანქციაც მოჰყოლოდა. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბარი იმდენად რეკლამას არ ეხებოდა, რამდენადაც დაწესებულების მხრიდან საქმისადმი დამოკიდებულებას. თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საბჭო ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას ნაწილობრივ და არასრულყოფილად შესწავლილ პროგრამაზე. მანვე აღნიშნა, რომ საბჭო მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თითოეული პროფესიული სტუდენტის ინტერესს და ხარისხიანი განათლების მიღების უფლებას.

ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დროს, სასწავლო პროგრამის შემოწმება გეგმის მიხედვით დაიწყო, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ჯგუფი პროგრამის არასწორ ვარიანტს განიხილავდა და მისი საბოლოო ვერსია დაწესებულებამ ექსპერტებს დაგვიანებით მიაწოდა. ახალი პროგრამა დამტკიცებული არ ყოფილა და დაწესებულებამ იგი ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით, ვიზიტის მსვლელობის დროს დაამტკიცა შესაბამისი წესით. ექსპერტების აზრით, ეს არ ყოფილა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ საბჭომ ცენტრისგან დასკვნის დანართები გამოითხოვა. დანართები საკმაოდ მოცულობითი იყო. მისი აზრით, დაწესებულების მიერ ბოლოს წარდგენილი პროგრამა არ იყო სათანადო შესწავლილი, ხოლო მატერიალურ ბაზას რაც შეეხებოდა, მის სრულყოფილებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის საბოლოო ვერსია რომ არ ყოფილიყო დროულად შემუშავებული და დამტკიცებული, მისი მოძველებული ვარიანტის იდენტიფიცირება ვერ მოხდებოდა - სამუშაო პროცესში მოხდა გაუგებრობა და პროგრამის არასწორი ვერსია დამტკიცდა. წარმომადგენელმა დასმინა, რომ დაწესებულებას არავის შეცდომაში შეყვანის განზრახვა არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად სიტუაცია განსხვავებულად გამოიყურებოდა.

განხილვის ბოლოს, მაია ჩიხლაძემ ექსპერტებს მიმართა, რომ ჯგუფი არ იყო ვალდებული დაწესებულების მიერ მოგვიანებით მოწოდებული და შესწორებული პროგრამა შეემოწმებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯს (ს/კ: 402022609) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.



2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ელენე გვენცაძემ. მისი თქმით მონიტორინგის საფუძველი გახდა ცენტრში შემოსული წერილი, სადაც დაწესებულება იტყობინებოდა, რომ სურდა ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურისა და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ქალაქ ზესტაფონში ჭანტურიას ქ. №2. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ავტორიზაციის ორი სტანდარტი მატერიალური და ადამიანური რესურსი. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზები.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 - შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი“ ქირავნობის ხელშერულებით ფლობდა 309,5 კვ.მ. ფართს, რომელიც გამოიყენებოდა დაწესებულების მიზნებისათვის და შესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს.

1.2 - ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისთვის შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯში იყო ორი ცეცხლმაქრი. შენობის სათადარიგო გასასვლელი დაკეტილი იყო, ვინაიდან მისი მესაკუთრე იყო საქციო საზოგადოება „გრაცია“. ვიზიტის მსავლელობის დროს ექსპერტების გაესაუბრნენ სს „გრაციას“ დირექტორს, რომელმაც სიტყვიერად დაადასტურა, რომ კოლეჯს მისცემდა სათადარიგო გასასვლელით სარგებლობის უფლებას.

1.3 კოლეჯში იყო პანდუსები. ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც არ აკმაყოფილებდა სტანდარტს, ვინაიდან შესასვლელი იყო ვიწრო და ეტლით მოსარგებლისათვის შეუძლებელი იქნებოდა მისვლა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პრაქტიკის ობიექტები და ჩატარდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებლად საბჭოს წარმოუდგინა ხელშეკრულება რის მიხედვითაც სს „გრაცია“ წებას რთავდა „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის“ საევაკუაციო გასასვლელით სარგებლობის უფლებას.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა ადგილობრივი პროფესიული მასწავლებლებით იქნებოდა პროგრამები დაკომპლექტებული, თუ სხვა ქალაქებიდან. დაწესებულების თქმით პროგრამა ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული.

საბჭოს წევრი მამია ჩიხლაძე დაინტერესდა ზესტაფონში თუ იყო სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. იყო თუ არა დაინტერესება პროფესიული განათლებისადმი და რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზესტაფონში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება არ იყო, მოსახლეობისგან დიდი დაინტერესება და მოთხოვნა იყო სწორედ აღნიშნულ პროგრამებზე, ამიტომ გადაწყდა ზესტაფონში პროგრამების განხორციელება. ჯამში ორივე პროგრამაზე 80 სტუდენტის მიღებას აპირებდნენ.

ექსპერტების განმარტებით დაწესებულება 80 სტუდენტის მიღებას შეძლებდა ორ ცვლაში, ანუ თითოეულ ცვლაში 40-40 პროფესიულის სტუდენტის, რაც დაწესებულებამაც დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის (ს/კ: 202066405) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, საბჭოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს ჰქონდა უფლებამოსილება ზემოაღნიშნული პროფესიული (პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის და ოფისის მენეჯერის მე-3 საფეხურის) პროგრამები დამატებით განხორციელებინა ქ. ზესტაფონშიც და ამ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან მიეღო არაუმეტეს 80 პროფესიული სტუდენტი.

3. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომაზე არ გამოცხადა დაწესებულების წარმომადგენელი. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულება ინფორმირებული იყო დაგეგმილი საბჭოს სხდომის თაობაზე, როგორც კანონმდებლობით დადგენილი წესით ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობით, ასევე დაწესებულებას წერილობითაც ეცნობა აღნიშნული სხდომის თაობაზე. ამასთან, დაწესებულებას ცენტრისთვის წინასწარ არ უცნობებია სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა, ლევან ღურწვანაში და მალხაზ გვიჩიაშ. მათ აღნიშნეს, რომ მონიტორინგის განხორციელების საფუძველი გახდა ცენტრში შემოსული წერილი, რომლითაც დაწესებულებამ განაცხადა რომ სურდა ქ. ზუგდიდში დამატებით განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს პროფესიული კოლეჯი ინტელექტი მდებარეობდა და ფუნქციონირებდა ქალაქ ზუგდიდში, თბილისის ქუჩა №43-ში. ხელშეკრულებიდან დასტურდებოდა, რომ კოლეჯს იჯარით (30.03.2015) მოქალაქე თეა ბულიასგან გადაცემული ჰქონდა 396.6 კვ.მ ფართი, ერთი წლის ვადით (2016 წლის 30 მარტამდე). საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფართი ასევე დატვირთული იყო იპოთეკით (დამოწმების თარიღი 24.02.2015, NSAI057897).

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, გაახანგრძლივა თუ არა დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულება. ექსპერტის მოლოდინით, დაწესებულებას განახლებული ხელშეკრულება საბჭოს სხდომაზე უნდა წარმოედგინა, თუმცა წარმომადგენლები სხდომაზე არ გამოცხადებულან.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, მიმდინარეობდა თუ არა დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი, რაზეც ექსპერტისგან უარყოფითი პასუხი მიიღო. მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ როგორც დაწესებულების ვებგვერდზე იხილა, დაწესებულებას სასწავლო ფართი სენაკშიც და ასევე, სხვა მუნიციპალიტეტებშიც გააჩნდა.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ცენტრისთვის არ იყო ცნობილი, სენაკის გარდა ახორციელებდა თუ არა დაწესებულება სხვა ქალაქებსა, თუ მუნიციპალიტეტებში სწავლებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის (ს/კ 406071691) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, საბჭოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული, რომ შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის უარი ეთქვა პროფესიული პროგრამების დამატებით ქ. ზუგდიდში განხორციელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ 20 დღეში იწურებოდა ხელშეკრულების ვადა და არ არსებობდა გარანტია, რომ ქ. ზუგდიდში დაწესებულებას სწავლებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა ექნებოდა.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, აღნიშნულ დაწესებულებაში დაეგეგმა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებულიყო დაწესებულების პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:30 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

